ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 მაისი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 100 (10 269) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ფიზიკური კულტურა და სპორტი ერის სამსახურში!

**„ლელოს" რედაქცია ეკითხება საქართველოს აგროსამრეწველო სახელმწიფო კომიტეტისა და თბილისის სახელმწიფო იპოდრომის ხელმძღვანელობას:**

1. მიგაჩნიათ თუ არა, რომ მეცხენეობისა და ცხენოსნობის მდიდარი ტრადიციების ისეთ უძველეს ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, იპოდრომი დღესაც უნდა იყოს ეროვნული კულტურის ერთ-ერთი კერა?

2. მეცხენეობისა და ცხენოსნობის ეროვნული ტრადიციების სრულად აღდგენისა და გაღრმავებისათვის მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ, რომ ყულარის (მარნეულის რაიონი) ცხენსაშენი, რომელიც დღეს ერთადერთია საქართველოში, მყარად დადგეს ეროვნულ ნიადაგზე, ემსახუროს ეროვნულ საქმეს, ხოლო იმისათვის, რომ ამ ცხენსაშენმა თავისი ძირითადი დანიშნულება შეასრულოს, შეუერთდეს თბილისის იპოდრომს?

3. ტარდება ან გატარდება თუ არა ღონისძიებები, საქართველოში ბოლო 30-35 წლის განმავლობაში ცხენთა სულადობის კატასტროფული შემცირებით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციოდ, იქნება თუ არა უზრუნველყოფილი ადგილობრივი ჯიშის ცხენთა გენოფონდის დაცვა და რა საშუალებით?

4. ამ ათი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „რესპუბლიკაში მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". გთხოვთ გვიპასუხოთ, ამ სადირექტივო დადგენილების რომელი პუნქტი შესრულდა, რომელი არ შესრულდა, და რატომ?

5. როდის შეწყდება თბილისის იპოდრომის ტერიტორიის დაუნდობელი „ანექსია" ისეთი ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც მეტწილად საერთო არაფერი აქვთ არათუ ცხენთან და ცხენოსნობასთან, არამედ, საერთოდ, ფიზიკურ კულტურასთან და სპორტთან. რა ორგანიზაციებია დღეს განლაგებული იპოდრომის ტერიტორიაზე, ვისი ნებართვით და რა საქმიანობას ეწევიან ისინი?

6. როგორ გესახებათ თბილისის სახელმწიფო იპოდრომის, როგორც თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მასობრივი დასვენების ერთ-ერთი კულტურული ცენტრის ხვალინდელი დღე?

* * *

**იმედია**, პასუხს არ დააყოვნებთ. ვფიქრობთ, წამოჭრილი პრობლემებისადმი არც მკითხველები დარჩებიან გულგრილნი. მათ შენიშვნებსა და წინადადებებსაც დიდი სიამოვნებით გამოვიტანთ საზოგადოებრიობის სამსჯავროზე.

### ფოტობრალდება.

დააკვირდით
ბეტონის სვეტს.
ადრე ამ სვეტზე
იპოდრომის ჭიშკარი
იყო შებმული.
მერე მიჯნამ ღრმად,
შიგნით გადაიწია —
იპოდრომის ტერიტორიაზე
სახლებიც ჩაიდგა.
ხედავთ ახლა რამდენი
მანძილი აშორებს
ძველ და ახალ
საზღვარს ცხენთა
საასპარეზოდან?



მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

# პირველი სტარტი, პირველი წარმატება



**მოსწავლეთა** საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვება თავისთავად დიდი პატივია, მაგრამ თბილისში მოასპარეზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს დამატებითი სტიმული ჰქონდათ, დაც ბრძოლას უფრო საინტერესოსა და დაძაბულს ხდიდა. ჯერ ერთი, ასპარეზობაში პირველ ადგილზე გასული ათლეტი ავტომატურად ხდებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც და, რაც მთავარია, იღებდა ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას, ტურნირში, რომელიც მიმდინარე წლის ივლისს უნგრეთში მოეწყობა. მოსწავლეები არ მალავდნენ, რომ პერსპექტივა საკმაოდ მომხიბლავი იყო და ძალას არ იშურებდნენ მიზნის მისაღწევად.

43 და 47 კგ წონით კატეგორიებში საქართველოს მონაწილე არ გამოუყვანია, სამაგიეროდ, 83 და 95 კგ წონებში ჩვენი გუნდი ორორი ათლეტით იყო წარმოდგენილი და ამდენად თერთმეტი მონაწილის სტატუსი დაცული ჰქონდა.

**40 კგ.** თეთრწყაროელი კახა ხაზიაშვილი მეთერთმეტე ადგილზე გავიდა. აქ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბელორუსიელი ა. გუზოვი და მოლდაველი ვ. რაილიანი. გამარჯვება მოიპოვა გუზოვმა (ქულების შეფარდება 10:5).

**43 კგ.** ბრძოლა ოქროს მედლისთვის პირველსავე წუთზე დამთავრდა. აზერბაიჯანელმა ს. მუსაევმა წამოიწყო ილეთი, მაგრამ მოსკოველმა ჰ. ასხაბოვმა დროზე მოიგერია იგი და საპასუხო კონტრილეთით წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

**47 კგ.** ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნ. დონბაევი (ყირგიზეთი) და ა. აბდულინი (ყაზახეთი). დასაწყისში ორთავე მოჭიდავემ მიიღო გაფრთხილება პასიური ჭიდაობისთვის. ამან დონბაევი გამოაფხიზლა და ერთ-ერთი შეტევის შემდეგ მეტოქე „ხიდურზე დაიჭირა". აბდულინი მთელი ორი წუთის განმავლობაში იყო კრიტიკულ მდგომარეობაში, მაგრამ მოწინააღმდეგის მარწუხებს მაინც დაუძვრა, თუმცა ბრძოლა უკვე წაგებული ჰქონდა. ყირგიზმა მოჭიდავემ ოქროს მედალი მოიპოვა.

**51 კგ.** საქართველოს გუნდს პირველი ოქროს მედალი მალხაზ მხეიძემ მოუტანა, რომელმაც ფინალში დამაჯერებლად მოუგო აზერბაიჯანელ ზ. ბურაზიევს — 5:0. საქმე მარტო ის კი არ გახლავთ, რომ მხეიძის მეტოქეს ქულა არ აულია, არამედ ისიც, რომ აზერბაიჯანელი ორჯერ იყო კრიტიკულ მდგომარეობაში (ხიდურზე) და ორივეჯერ სასწაულად გადაურჩა წმინდა დამარცხებას.

**55 კგ.** გორელ დავით პოღოსიანისა და სომხეთის წარმომადგენლის არამ მარქარიანის ფინალური ორთაბრძოლა, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგავდა წინა შეხვედრას. ჩვენი მოჭიდავის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოქმედებდა მეტად ზუსტად და აზრიანად. დააგროვა ხუთი უპასუხო ქულა, რაც სავსებით საკმარისი იყო გამარჯვებისთვის.

**60 კგ.** ხაშურელმა გელა გელაშვილმა მეხუთე ადგილისათვის ბრძოლა აზერბაიჯანელ ა. ისმაილოვს მოუგო. სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედლისთვის კი ამ წონაში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი იგორ კუპეევი და მოსკოველი სერგეი რიბაკოვი იბრძოდნენ. საკმაოდ უფერულ შეხვედრაში ქულებით გამარჯვება კუპეევმა მოიპოვა.

**65 კგ.** ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დრამატული ფინალი სწორედ ამ წონაში შედგა. ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი და ტექნიკური მ. ზაინუტდინოვი (რსფსრ) აქტიურად იბრძოდა და დიდხანს ქულებითაც უგებდა გოგიტა ხაბელაშვილს. მაგრამ ნამდვილი მოჭიდავე არასდროს არ ურიგდება ბედს. ხაბელაშვილმა, იცოდა რა თავისი მდგომარეობა, შეხვედრის მიწურულს გაბედული გადაწყვეტილება მიიღო, სახიფათო შეტევა წამოიწყო და მიზანსაც მიაღწია. ბრძოლის დამთავრებამდე 1 წუთით ადრე, როცა ზაინუტდინოვს მიჰყავდა ანგარიში — 7:5, ქართველმა მოჭიდავემ წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

**70 კგ.** თბილისელმა კახა ვერხვიაშვილმა VII ადგილი დაიკავა, ფინალური შეხვედრა კი მოსკო-

იხ. მე-3 გვ.



მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში — საქართველოს ნაკრები. ა. კოტორაშვილის ფოტო.

# ლამაზი ნახტომები

**ოდესა.** ბატუტისტთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მფრინავი-კოსმონავტის გიორგი დობროვოლსკის ხსოვნის პრიზზე საბჭოთა სპორტსმენების გარდა მონაწილეობდნენ ბულგარეთის, ინგლისის, პოლონეთის, ჰოლანდიის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და შოტლანდიის წარმომადგენლები.

წყვილთა თანრიგში წარმატებით იასპარეზეს თბილისელმა რუსუდან ხოფერიამ და ნიკოლაეველმა ელენა კოლომეეცმა. მათი სინქრონული ხტომები გამოირჩეოდა სირთულითაც და შესრულების ნატიფი მანერითაც. სწორედ ამის გამო ამ დუეტმა უმაღლესი შეფასება — 127,1 ქულა დაიმსახურა. ვაჟთა სინქრონულ ხტომებში უძლიერესი იყო ოდესელი სერგეი ტიაბუსისა და ვორონეჟელი ოლეგ ფედოსოვის დუეტი — 129,5 ქულა.

ტიაბუსი, სხვათა შორის, უძლიერესი იყო ინდივიდუალურ ხტომებშიც — 104,0 ქულა. ქალებში კი ყველას აჯობა ლენინგრადელმა ელენა მერკულოვამ — 101,1 ქულა.

# ჩოხით, მხოლოდ... შეშიკოდ

**რუსთაველმა** მძიმე წონის სამბისტმა გიორგი ნოზაძემ გაიმარჯვა პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატში. ახალგაზრდა ათლეტმა, რომელსაც ვლადიმერ შუბითიძე და ანზორ ზურაბაული ავარჯიშებენ, საკმაოდ ძნელ პირობებში მიაღწია ამ წარმატებას, რადგან ჩვენი მწვრთნელების თქმით, ჩერკესკში, სადაც ასპარეზობა გაიმართა, მსაჯობა საოცრად ტენდენციური იყო.

მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა გურამ ქარჩაიძემ (82 კგ), იგი ფინალსაც იგებდა, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 30 წამით ადრე შებოჭვაში „მოჰყვა" და დამარცხდა. კასპელი ჯემალ გუდიევი (82 კგ) მესამე ადგილს დასჯერდა. საგარეჯოელები მამუკა კურდღელაშვილი და კობა კუპატაძე V ადგილებზე გავიდნენ.

**სამბისტთა** კიდევ ერთი საკავშირო ტურნირი ჩატარდა ქალაქ ბარანოვიჩში, ოღონდ, მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში სულ 250-მდე ნორჩი მოჭიდავე ჩაება, ამიტომ სასიხარულოა, რომ ამდენ მონაწილეს შორის გუნდური პირველი ადგილი საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა. მოსკოვის გუნდი მეორე ადგილზე გავიდა, მასპინძლები — ბელორუსი სპორტსმენები — მესამეზე.

ჩვენი გუნდის წევრებიდან პირად პირველობაში გაიმარჯვეს: მესტიელმა ნესტორ ხერგიანმა (38 კგ), ახმეტელმა ვასილ ყორშუზაშვილმა (42 კგ) და თბილისელებმა: ბესიკ ოდიშვილმა (51 კგ), ბესიკ სინჯარიძემ (68 კგ) და ვახო არაბულმა (78 კგ). თამაზ წამალაიძემ (55 კგ), მეორე ადგილი დაიკავა, ავთანდილ ბერიძემ (68 კგ) — მესამე. ორივე თბილისელია.

საქართველოს ვაჟთა 50-ე ჩემპიონატი ჭადრაკში

# ოსტატები დამარცხდნენ

**დაიწყო** მოჭადრაკე ვაჟთა საიუბილეო, 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი. შეჯიბრებაში, რომელიც წრიული სისტემით ტარდება, 16 მონაწილეა, მათ შორის მხოლოდ ორი ოსტატია — თამაზ ტაბატაძე და გია ბაღათუროვი. დანარჩენები ოსტატობის კანდიდატები არიან.

წილისყრით მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: **1. ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი), 2. კახა შალამბერიძე, 3. აკაკი იაშვილი, 4. თამაზ ტაბატაძე, 5. რევაზ კაკაბაძე (ყველა — თბილისი), 6. ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი), 7. გია ბაღათუროვი, 8. გიზო ჭურღულია, 9. მიხეილ კეკელიძე, 10. გივი გოგიჩაიშვილი, 11. იანის პოპოვი (ყველა — თბილისი), 12. შოთა კუჭუხიძე (ქუთაისი) 13. რომან სიჭინავა (სენაკი), 14. ზაზა ხოფერია, 15. ალექსანდრე დგებუაძე, 16. კახა საბურზანია (ყველა — თბილისი).**

პირველ ტურში საინტერესო გამოდგა საქართველოს შარშანდელი ჩემპიონის ოსტატ გია ბაღათუროვისა და გივი გოგიჩაიშვილის შეხვედრა.

მეტოქეებმა ტარაშის დაცვის ერთ-ერთი რთული ვარიანტი გაითამაშეს. შავებმა ჯერ გაათანაბრეს პოზიცია, შემდეგ კი უპირატესობას დაეუფლნენ. გოგიჩაიშვილმა პაიკი დათმო, ძლიერი იერიში მიიღო და 33-ე სვლაზე გამარჯვებაც მოიპოვა.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა კახა შალამბერიძისა და ალექსანდრე დგებუაძის პარტია. თეთრებმა ახალინდურ დაცვაში დები-

იხ. მე-4 გვ.



მიმდინარეობს ჩემპიონატის მორიგი ტური.
ა. კოტორაშვილის ფოტო.



# დებულება დაიცვეს, დებულება შეცვალეს

იმის გამო, რომ ქუთაისის „აიამ“ და თბილისის სტუ-მ საქართველოს რაგბის კავშირთან შეუთანხმებლად ითამაშეს VIII ტურის მატჩი, რითაც დაარღვიეს საქართველოს ჩემპიონატის დებულების ის პუნქტი, რომელიც გუნდებს უკრძალავს თამაშის ადგილის და დროის თვითნებურად შეცვლას, საქართველოს რაგბის კავშირმა გააუქმა 12 მაისს გამართული მათი თამაშის შედეგი — „აიას“ გამარჯვება ანგარიშით 27:22.

სტუ — „აიას“ ეს შეხვედრა განრიგის შესაბამისად გაიმართება კვირას, 3 ივნისს.

საქართველოს რაგბის კავშირმა მიიღო, აგრეთვე, გადაწყვეტილება ჩემპიონატში ქულათა დარიცხვის ახალი სისტემის შემოღებაზე — მოგება 2 ქულა, ფრე — 1, წაგება — 0. ცვლილების მიზეზი გახლავთ ძველ სისტემაში აღმოჩენილი ნაკლოვანებანი. აქამდე გამართული ყველა მატჩის შედეგი უცვლელი დარჩება. მხედველობაში აღარ მიიღება ე. წ. პირსეული დამარცხებები.

გთავაზობთ ჩემპიონატის პირველი ეტაპის სხვა შეხვედრათა განრიგს: 2.06. „შევარდენი“ — „მიმინო“, „ასოციაცია“ — „გელათი“, „სათაფლია“ — „ზოოვეტი“. 3.06. სტუ — „აია“, „აკადემია“ — „იმერეთი“. 4.06. „ელმავალი“ — „უნივერსიტეტი“. 7.06. სტუ — „მიმინო“, „უნივერსიტეტი“ — „გელათი“. 9.06. „ასოციაცია“ — „ზოოვეტი“. 10.06. „შევარდენი“ — „იმერეთი“, „უნივერსიტეტი“ — „სათაფლია“. 11.06. „აკადემია“ — სტუ. 15.06. „სათაფლია“ — „ელმავალი“. 16.06. „სათაფლია“ — „ელმავალი“, „აკადემია“ — „აია“, „უნივერსიტეტი“ — „ასოციაცია“. 17.06. „იმერეთი“ — „მიმინო“, სტუ — „შევარდენი“, „ზოოვეტი“ — „გელათი“. 21.06. „უნივერსიტეტი“ — „ელმავალი“. 24.06. „ელმავალი“ — „ზოოვეტი“. 25.06. „აია“ — „შევარდენი“. 26.06. „ელმავალი“ — „გელათი“. 27.06. „მიმინო“ — „აია“.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი რაგბიში

ქულათა დარიცხვის ახალი სისტემის გათვალისწინებით საქართველოს ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი დღეს ასე გამოიყურება:

„ა“ ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „აია“ | 6 | 6 | 0 | 0 | 12 |
| „მიმინო“ | 6 | 4 | 0 | 2 | 8 |
| სტუ | 6 | 3 | 0 | 3 | 6 |
| „იმერეთი“ | 7 | 2 | 1 | 4 | 5 |
| „აკადემია“ | 7 | 2 | 1 | 4 | 5 |
| „შევარდენი“ | 6 | 1 | 0 | 5 | 2 |

„ბ“ ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ასოციაცია“ | 7 | 5 | 0 | 2 | 10 |
| „ელმავალი“ | 4 | 4 | 0 | 0 | 8 |
| „გელათი“ | 6 | 4 | 0 | 2 | 8 |
| „ზოოვეტი“ | 5 | 2 | 0 | 3 | 4 |
| „უნივერსიტეტი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 2 |
| „სათაფლია“ | 6 | 0 | 0 | 6 | 0 |

# ვერეს გაღმა და გამოღმა

27 მაისი. თბილისი. ვაკის სტადიონი.

„გამოღმელები“ (უნივერსიტეტი, აკადემია, ზოოვეტი) — „გაღმელები“ (სტუ, სსი) 19:34.

„გამოღმელები“: ხუციშვილი; ტოგონიძე (იოსებიძე), კალანდაძე (კეკელიძე), ორჯონიკიძე, ყურაშვილი; შენგელაია, შერმაზანაშვილი, ჯუღელი (ბახტურიძე), წიქარიძე, ზ. ლვინიაშვილი (სვანიძე); თურქაძე, ლიბრაძე (კუბლაშვილი), აბრამიშვილი, ახათიანი (ნარტყოშვილი); ჰულულაშვილი (ვაწაძე).

მწვრთნელები: გ. სურმავა, პ. ნარიმანაშვილი.

„გაღმელები“: კობახიძე; ლ. გაფრინდაშვილი, მოხიძე, ბარძიმიშვილი, ხ. ლიპარტელიანი (ფარცვანია); ნ. იური, ცირეკიძე (ყუბანეიშვილი); თავზარაშვილი, ჩიქავა (ახვლედიანი), დიდებულიძე; ფერაძე, კომლაძე, კოკოზაშვილი (ფირიაშვილი), ხორდია, მგელაძე.

მწვრთნელები: ლ. გეგენავა, რ. ხანებლიძე.

მსაჯი: არჩილ ლაგოშვილი.

მატჩმა თბილისის სარაგბო საზოგადოების უდიდესი ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან ამ დღეს მოედანზე ვიხილეთ დედაქალაქის რაგბის ხვალინდელი დღე. რაგბის მოყვარულების მოლოდინი გამართლდა: შეხვედრა ფრიად საინტერესო გამოდგა, მაყურებელი მოწმე გახდა უაღრესად დაძაბული და ვაჟკაცური თამაშისა.

„გაღმელები“ უკეთ განეწყვნენ მატჩისათვის და პირველ ოც წუთში ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს მეტოქეს — კობახიძემ ორი საჯარიმოთი, ლიპარტელიანმა და ფერაძემ თანაგუნდელთა ძალისხმევის წყალობით გატანილი ლელოებით დიდი ანგარიშით დააწინაურეს თავიანთი კოლექტივი. ერთი ლელო გარდასახა კობახიძემ.

„გაღმელებს“ აშკარა უპირატესობა ჰქონდათ. ისინი მრავალფეროვნად, შერკინებითაც და უკანა ხაზითაც უტევდნენ.

ამან აშკარად იმოქმედა „გამოღმელების“ თავმოყვარეობაზე და მათ ანგარიშმიუცემლად შეუტიეს. თავდაპირველად კალანდაძე გაუსხლტა რამდენიმე მეტოქეს და ლელო გაიტანა, შემდეგ მეტოქის ლელოსთან დანიშნული ხუთმეტრიანი საჯარიმოს გათამაშება ასევე ლელოთი დაასრულა ჰულულაშვილმა. შერმაზანაშვილმა ერთი გარდასახვისა და ორი საჯარიმოს გატანით ანგარიში გაათანაბრა.

ტაიმი თითქოს ასეც უნდა დასრულებულიყო, რომ არა „გამოღმელთა“ დაცვის უხეში შეცდომა, რითაც ისარგებლა ბარძიმიშვილმა და გაიტანა ლელო, რომელიც გარდასახა კობახიძემ — 16:22.

მეორე ტაიმში მორაგბეებზე სიცხემაც იმოქმედა და დაღლილობამაც. თამაშმა პოზიციური ხასიათი მიიღო, ინიციატივას ვერც ერთი გუნდი ვერ დაეუფლა. შემდგომში მოთამაშეები თანდათან შეეჩვივნენ სიცხეს და კვლავ გააქტიურდნენ. კობახიძის ორ გატანილ საჯარიმოს შერმაზანაშვილმა ერთით უპასუხა. მის თანაგუნდელებს შეეძლოთ ანგარიშში სხვაობის შემცირება, მაგრამ უხეიროდ გაათამაშეს ხუთმეტრიანი საჯარიმო და მეტოქეს კონტრიერიშის საშუალება მისცეს. „გაღმელებმა“ ხელიდან არ გაუშვეს ეს შანსი და ლ. გაფრინდაშვილის შედეგიანი გარღვევა კობახიძის მიერ გარდასახული ლელოთი დასრულდა.

ასე დამთავრდა პირველი სტუდენტური შეხვედრა, რომელიც, ვიმედოვნებთ, ტრადიციული გახდება.

**მერაბ რატიშვილი.**

## ჩვენს „ძველ ნაცნობს“ რა უჭირს...

ახლახანს ჰარარეს პოლიციის სტადიონზე გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშების აფრიკის ზონის შესარჩევი ტურნირი. მონაწილეთა შორის იყვნენ ზიმბაბვეს, ტუნისის, მაროკოს და კოტ-დ'ივუარის ნაკრები გუნდები. ტურნირის ბოლო დღეს, ფაქტობრივად, გადამწყვეტ მატჩში, ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ზიმბაბველებმა დაამარცხეს ტუნისის გუნდი (24:13) და მოიპოვეს მსოფლიო თასის გათამაშებაში თამაშის უფლება.

ამრიგად, მსოფლიო თასის 16 პრეტენდენტთაგან უკვე ცნობილია 14. ესენია: ახალი ზელანდია, საფრანგეთი, უელსი, ავსტრალია, შოტლანდია, ფიჯი, ინგლისი, ირლანდია, კანადა, არგენტინა, აშშ, იაპონია, დასავლეთ სამოა და ზიმბაბვე. დარჩენილ ორ საგზურზე პრეტენზიას აცხადებენ იტალიის, რუმინეთის, ესპანეთის, ჰოლანდიის ნაკრებები. ამ გუნდებიდან 2 საუკეთესო (მათი ტურნირი მოეწყობა ოქტომბერში) გაემგზავრება მსოფლიო თასზე.

**დიდ ბრიტანეთში** დასრულდა საკლუბო სეზონი.

შოტლანდიის ჩემპიონი გახდა ქალაქ მელროუზის გუნდი.

ინგლისის ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა ლონდონის „უოსფსმა“ (კრაზანები), თასის (ე. წ. ფიქლინგტონის თასის) ფინალში კი (თვიქნემში) ქალაქ ბასის გუნდმა გამანადგურებელი ანგარიშით 48:6 სძლია „გლოსთერს“ და მეხუთედ მოიპოვა ეს ჯილდო.

უელსის თასის (უითბრედის თასი) ფინალში ქარდიფის „არმზ ფარქზე“ ქალაქ ნისის გუნდმა დაამარცხა ქარდიფის მეშახტეთა გარეუბნის — ბრიჯენდის მორაგბეები — 16:10.

ახალი სარაგბო სეზონიდან (სექტემბრიდან) ჩემპიონატებს გამართავენ უელსსა და ირლანდიაში.

შემოდგომამდე სარაგბო სეზონმა სამხრეთ ნახევარსფეროში გადაინაცვლა. მრავალი კლუბი და ნაკრები მართავს ტურნეს ეკვატორს ქვემოთ. კანადის ნაკრები, მაგალითად, ახალ ზელანდიაში იმყოფება, უელსისა — ნამიბიაში.

ივნისში საფრანგეთის ნაკრები ეწვევა ავსტრალიას, შოტლანდიისა — ახალ ზელანდიას. ივლისში ახალზელანდიელები მეზობლებს, ავსტრალიელებს უმასპინძლებენ, ინგლისის ნაკრები კი არგენტინაში გაემგზავრება (პირველად ფოლკლენდის ომის შემდეგ).

**(საქ. ინფ.)**

ზნეობა — უწინარეს ყოვლისა!

# ...აღარც ცხენები

„ლელოს“ მკითხველებს ემახსოვრებათ, ამ რამდენიმე დღის წინ გამოვაქვეყნეთ პატარა განცხადება (14 მაისის ნომერში), რომელშიც დახმარებას ვთხოვდით ყველას, ვისაც რაიმე ცნობა მოეპოვებოდა ამას წინათ საქართველოს ცხენოსანთა ჯგუფის ჰოლანდიაში გამგზავრების თაობაზე. ამ ამბის შესახებ თბილისში (და არა მარტო თბილისში) მეტად საეჭვო ხმები დაირხა და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებით გვინდოდა მკითხველთა ცნობისმოყვარეობა დაგვეკმაყოფილებინა (აქვე დავძენთ, რომ ამ მოგზაურობის ორგანიზატორი იყო კოოპერატივი „იბერია-89“).

იმ ადამიანის განცხადებას გაგაცნობთ, რომელიც ცხენოსნებს არ გაჰყოლია, მაგრამ სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ამ ამბის გარკვევით. სენაკის სპორტული კლუბის დირექტორი ხარიტონ გრიგოლია საგანგებოდ ამ მიზნით ჩამოვიდა თბილისში და რედაქციაში გვეწვია. მისმა განცხადებამ, გამოგიტყდებით, პირდაპირ სახტად დაგვტოვა.

ხარიტონ გრიგოლიას მტკიცებით, არავითარი შეთანხმება ცხენების გაყიდვის თაობაზე სენაკის საცხენოსნო კლუბსა და იმათ შორის, ვინც ჰოლანდიაში გამგზავრებას მოაბა თავი, არ ყოფილა, მხედრები თავიანთი ცხენებითურთ კლუბს ჰოლანდიაში სასპარეზოდ და საჩვენებელი გამოსვლებისათვის გაუგზავნია, უკან კი მხოლოდ მხედრები (და ერთი ცხენი) დაბრუნებულან, ოთხი ნარჩევი ბედაური იქვე, ჰოლანდიაში გაყიდულა.

მართლაც საკვირველი ამბავია! ამიტომ, მასში მეტი სიცხადე რომ შევიტანოთ, „ძველი ამბებიც“ გავიხსენოთ.

გასული წლის ოქტომბერში სენაკის საცხენოსნო კლუბს რამდენიმე ჰოლანდიელი სწვევია. მასპინძლები სტუმრებს კაცურად დახვედრიან და მხედრებსაც თავიანთი ოსტატობა უჩვენებიათ. სენაკის კლუბი ხელწამოსაკრავი არ გახლავთ. ამ კლუბის სპორტსმენები ეს ათი წელიწადია მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ და ბოლო ორ სეზონში საქართველოს ჩემპიონის სახელიც მათ რჩებათ. მოკლედ, სტუმრებს ძალიან მოსწონებიათ ქართული ეროვნული საცხენოსნო შეჯიბრებები (ფოტოაპარატები არ გაუჩერებიათო, გვითხრა ბატონმა ხარიტონმა) და იმ ამბავში, რომ საქართველოს მხედრები ჰოლანდიის დედოფლის დაბადების დღის აღსანიშნავ დიდ ზეიმზე მიიწვიეს, სენაკელები თავიანთ წვლილსაც ხედავენ.

ხარიტონ გრიგოლიას განცხადებიდან შევიტყვეთ, რომ იგი ჰოლანდიაში გამგზავრების საკითხთან დაკავშირებით საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტში თათბირზე მოუწვევიათ, რომელსაც ესწრებოდნენ ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ჩხოლარია, კოტა შავიშვილი, თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დირექტორი მიხეილ ტატიშვილი, კოოპერატივ „იბერია-89“-ის დირექტორი თენგიზ გოგია. გრიგოლიას აცნობეს, რომ ჰოლანდიაში უნდა გამგზავრებულიყო 24 ცხენოსანი, მათ შორის 12 — სენაკიდან, 6 — გავრიდან და 6 — ჩოხატაურიდან. გუნდის მომზადება დაევალათ გრიგოლიასა და გავრის საცხენოსნო კლუბის დირექტორს ვ. ბარციცს. მხედრებსაც აულეს ზომა სამოსის შესაკერად.

ერთი თვის შემდეგ ეს გადაწყვეტილება რატომღაც შეიცვალა და სენაკელებს უთხრეს, მხოლოდ ხუთი მხედარი მოამზადეთო. „არავითარი ლაპარაკი ცხენების გაყიდვის შესახებ არ ყოფილა“, — კვლავ გაიმეორა ხარიტონ გრიგოლიამ.

აქ შემდეგიც უნდა ვთქვათ. სენაკელებს ეგონათ, რომ ყველაფერ ამას ხელმძღვანელობდა საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტი და ამიტომ უყოყმანოდ ენდნენ ამ სოლიდურ ორგანიზაციას. რაიონი გაკვირვებულია, თუ როგორ ჩაუვარდა ხელში მხედართა გამგზავრების ხელმძღვანელობა მათთვის სრულიად უცნობ კოოპერატივ „იბერია-89“-ს. სენაკელთა აზრით, კოოპერატივმა ბოროტად გამოიყენა ეს. ფიქრობენ, ცხენების გაყიდვა უკვე აქ, თბილისში იყო გადაწყვეტილი და საცხენოსნო კლუბის დირექტორი ხარიტონ გრიგოლიაც სწორედ ამიტომ არ წაიყვანეს ჰოლანდიაში. „იგი არაფრის დიდებით არ მისცემდა ნებას, გაეყიდათ რაიონის კოლმეურნეობების კუთვნილი ცხენები“. ის ცხენები მართლაც მათი საუკეთესო ბედაურები ყოფილა და ახლა სენაკელები, რომ იტყვიან, მშრალზე დარჩნენ. რაკი „ცხენები აღარა გვყავს, ახლა შეჯიბრებებშიც ველარ მივიღებთ მონაწილეობას“, — გვითხრა კლუბის დირექტორმა.

— „ყოველივე ზემოაღნიშნულმა სენაკის საზოგადოებრიობაში და ცხენოსნობის მოყვარულებში უკიდურესად უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია, — ასე მთავრდება საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელობისათვის გაგზავნილი ერთი განცხადება.

— მოგმართავთ, რათა მიიღოთ სათანადო ზომები და დაგვეხმაროთ, რომ ჩვენი საცხენოსნო კლუბის ანგარიშზე ჩაგვირიცხონ ცხენების ღირებულება ვალუტით, ვინაიდან, როგორც ცნობილი გახდა, იგივე კოოპერატივი აპირებს ცხენების დანაკარგის რაოდენობრივ კომპენსაციას, რაც ჩვენთვის ყოვლად მიუღებელი იქნება (ვისაც ცხენოსნობა ესმის, გაეღიმება, განა რაოდენობრივი კომპენსაცია შველის საქმეს? ცხენიც არის და ცხენიც)“.

დიახ, სენაკელებს ახლა მორალური კომპენსაციისათვის არ სცხელათ და იმას ცდილობენ, მთელ კლუბს არ შეერყეს საფუძველი, ამიტომ მოითხოვენ გაყიდული ცხენების მთლიანი ღირებულების, ჰოლანდიაში დარჩენილი მათი აღკაზმულობის ფასის, აგრეთვე მივლინებისა და სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებას. მათ ისიც იციან, რა ფასად გაიყიდა ცხენები: „დნეპრი“ — 13000 გულდენი, „განცდერი“ — 850, „დეზდორი“ — 10500, „ვარდალი“ — 13000 გულდენი. ყველაზე მეტად გული სწყდებათ „ვარდალის“ გაყიდვის გამო.

როგორც ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, ჰოლანდიაში ჩვენი სტუმრობის ბევრი ნიუანსი მართლაც ბადებს ეჭვის საფუძველს. ამიტომ იმედია, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციაში სხვებიც გვეწვევიან, მით უმეტეს, რომ ამ გახმაურებულ მოგზაურობაზე უარეს ამბებსაც ჰყვებიან, ვიდრე ცხენების გაყიდვაა.



# „მუსტანგი“ — ჯანმრთელობაა

რამოდენიმე თვის წინ შევიტყვე, რომ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო კონტროლის კათედრის ინიციატივით სახალხო განათლების სამინისტროს საცხენოსნო სპორტულ სკოლასთან გაიხსნა სამკურნალო-პროფილაქტიკური კოოპერატივი „მუსტანგი“. პირველად საბჭოთა კავშირში სწორედ აქ გამოიყენეს უნიკალური მეთოდი — სამკურნალო ცხენოსნობა ანუ რაითერაპია.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ, ქალბატონ მანონ ლორიასთან საუბრისას (იგი კოოპერატივის ხელმძღვანელია) გავიგე, რომ აქ იყენებენ აგრეთვე მაკორეგირებელ ტანვარჯიშს, მასაჟებს, ორთოპედიულ წოლებსა და ა. შ. მუშაობა მეცნიერულ საფუძველზეა აგებული. მეცადინეობას კი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ატარებენ.

როგორც ნებისმიერ ახალ საქმეს, კოოპერატივ „მუსტანგსაც“ აქვს პრობლემები. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია ცხენების საკითხი. საქართველოს სპორტკომიტეტის საცხენოსნო ბაზაში, ისევე როგორც საერთოდ ყველგან ასეთ ბაზებში, დანერგილია უვარგისი ცხენების „ჩამოწერის“ პრაქტიკა. **იქნებ მოხერხდეს რამოდენიმე ახეთი ცხენის გადაცემა კოოპერატივისათვის.** ამით ნამდვილად კეთილშობილური საქმე გაკეთდება. თუ ცხენების სულადობა საკმარისი იქნება, შეიძლება კოოპერატივთან გაიხსნას სპეციალიზებული სკოლა (თუნდაც სამეურნეო ანგარიშზე), შემდეგ მის ბაზაზე კი შეიქმნას მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი და პროფილაქტიკური ცენტრი.

ასეთი სკოლის შექმნა შესაძლებელია იპოდრომზე განთავსებულ კომპლექსზე, რომელიც ამჟამად სხვადასხვა კოოპერატივს უკავია.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ კოოპერატივ „მუსტანგის“ მუშაობით უკვე დაინტერესდა რამოდენიმე უცხოური ფირმა და ისინი დახმარებისთვისაც მზად არიან. სამწუხაროდ, ასეთივე დაინტერესებას ვერ ვამჩნევთ ჩვენს საწარმოებსა თუ უწყებებს. იმედია, ყველა საქმით გამოგვეხმაურება, ვისაც ეს ეხება, მოზარდთა ჯანმრთელობა ხომ ჩვენი საერთო საზრუნავია.

**ნუგზარ აბაკელია,**
ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

• • •

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონები


მალხაზ მჭედლიძე


დავით პოლოსიანი


გოგიტა ხაბელაშვილი


ალექსანდრე კახნიაშვილი


ლუკა კოხია


ზურაბ ლოლაშვილი

## გამარჯვებულთა დოსიე

**მალხაზ მჭედლიძე**

დაიბადა 1974 წ. 9 აპრილს სამტრედიაში.

სპორტსაზოგადოება „მართვე".

სპორტის ოსტატობის კანდიდატი, წონა — 51 კგ.

სწავლობს სამტრედიის რკინიგზის მე-13 საშუალო სკოლაში.

მწვრთნელები: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვანო ნიკოლაძე და ალექსანდრე ნიკურაძე.

ჭიდაობა დაიწყო 1985 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებში, სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკებში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი.

**დავით პოლოსიანი**

დაიბადა 1974 წ. 21 აგვისტოს გორში.

სპორტსაზოგადოება „შევარდენი".

სპორტის ოსტატი, წონა — 55 კგ.

სწავლობს გორის მე-6 საშუალო სკოლის X კლასში.

მწვრთნელები: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ ხხიერელი და მერაბ მუზიაშვილი.

ჭიდაობა დაიწყო 1984 წ.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ჭაბუკებში, საქართველოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი მოზრდილებში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი.

**გოგიტა ხაბელაშვილი**

დაიბადა 1974 წ. 20 იანვარს თბილისში.

სპორტსაზოგადოება „მართვე".

სპორტის ოსტატობის კანდიდატი, წონა — 65 კგ.

სწავლობს თბილისის 118-ე საშუალო სკოლის X კლასში.

მწვრთნელები: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვანო ნიკოლაძე, გელა ელოშვილი და ნოდარ ხალიევი.

ჭიდაობა დაიწყო 1982 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პრიზიორი, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი.

**ალექსანდრე კახნიაშვილი**

დაიბადა 1974 წ. 8 სექტემბერს მცხეთის რაიონის სოფ. ლისში.

სპორტსაზოგადოება „მართვე".

სპორტის ოსტატობის კანდიდატი, წონა — 76 კგ.

სწავლობს თბილისის მე-18 პროფტექნიკურ სასწავლებელში.

მწვრთნელები: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვანო ნიკოლაძე და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ ლამბაშიძე.

ჭიდაობა დაიწყო 1986 წ.

საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ინსბრუკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი.

**ლუკა კოხია**

დაიბადა 1974 წ. 22 სექტემბერს სოხუმში.

სპორტსაზოგადოება „დინამო".

სპორტის ოსტატობის კანდიტატი, წონა — 83 კგ.

სწავლობს სოხუმის რაიონის სოფ. კოდორის საშუალო სკოლის მე-11 კლასში.

მწვრთნელი: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ამირან მაისურაძე.

ჭიდაობა დაიწყო 1984 წ.

საქართველოს სამგზის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი მოზრდილებში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი.

**ზურაბ ლოლაშვილი**

დაიბადა 1974 წ. 5 იანვარს რუსთავში.

სპორტსაზოგადოება „დინამო".

სპორტის ოსტატობის კანდიდატი, წონა — 95 კგ.

სწავლობს რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის X კლასში.

მწვრთნელები: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი პეტრე ჯიოშვილი და სოსო მინდიაშვილი.

ჭიდაობა დაიწყო 1984 წ.

საქართველოს ორგზის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, საკავშირო შეჯიბრებების ოთხგზის გამარჯვებული, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

# პირველი სტარტი, პირველი წარმატება

(დასასრული)

ველმა ტ. ბამატკაზიევმა საკმაოდ ეფექტური ვდებით, წმინდად მოუგო რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს ი. ბაგაევს. დამარცხებული მოჭიდავის ცრემლები ბრძოლის დამთავრების შემდეგ იმის დასტური იყო, რომ ბაგაევი ფინალურ ორთაბრძოლაზე დიდ იმედებს ამყარებდა.

**76 კგ.** ნამდვილი მოჭიდავე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბრძოლას ამთავრებს მხოლოდ გონგის ხმაზე. ალექსანდრე კახიაშვილი ფინალურ შეხვედრას უკრაინელ ვ. რუდენკოსთან ერთხანს მძრალი ანგარიშით (0:6) აგებდა. მაგრამ კრიტიკულ სიტუაციაში შეძლო ინიციატივის ხელში აღება და რამდენიმე ლამაზი გდება განახორციელა მოქნევით. მეტოქე ამ ილეთს მოუმზადებელი დახვდა და ბრძოლის ბედიც საბოლოოდ ამან გადაწყვიტა. კახნიაშვილმა მოიგო შეხვედრა ანგარიშით 9:6.

**83 კგ.** ერთადერთი ფინალური შეხვედრა, სადაც გულშემატკივრები შედარებით მშვიდად იყვნენ და ტრიბუნაც არ ხმაურობდა, სწორედ ამ წონაში გაიმართა: ერთმანეთს ხვდებოდნენ სოხუმელი ლუკა კოხია და თბილისელი გიორგი ტორჩინავა. კოხია ამჯერად უფრო უკეთ იყო მომზადებული, უფრო ეფექტურად იბრძოდა და, ცხადია, ჩემპიონიც გახდა, თუმცა კარგი ჭიდაობისთვის ქებას მისი მეტოქეც იმსახურებს.

**95 კგ.** ჩვენის ღრმა რწმენით, ფინალი აქაც ქართული უნდა ყოფილიყო, მაგრამ კახაბერ შოშიტაშვილმა სრულიად მოულოდნელი მარცხი განიცადა ერთ-ერთ წინა ორთაბრძოლაში და მხოლოდ მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. მისი მარცხი რომ არ იყო ლოგიკური, ბოლო შეხვედრაშიც დამტკიცდა. კახაბერმა ლატვიელი გრომოვი სარეკორდოდ მოკლე დროში, სულ რამდენიმე წამში დაამარცხა და ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა.

ფინალში კი რუსთაველი ზურაბ ლოლაშვილის მეტოქე ფიზიკურად ძლიერი ოლეგ პრონინი იყო. წინასწარ უნდა გითხრათ, რომ ქართველმა მოჭიდავემ გაიმარჯვა, თანაც მთელი ტურნირის მანძილზე თავის მეტოქეებს მხოლოდ ერთი ქულა დაუთმო. ლოლაშვილმა ამ შეხვედრაშიც რაციონალური ჭიდაობის ბრწყინვალე მაგალითი გვიჩვენა. იქ, სადაც საჭიროა, იგი რისკს არ ერიდება, მაგრამ, მეტწილად თავისი ტექნიკური უპირატესობის რეალიზაციას ცდილობს და აღწევს კიდეც მიზანს. საერთოდ, ლოლაშვილისა და შოშიტაშვილის სახით საკმაოდ პერსპექტიული მძიმეწონოსნები გვეზრდება.

დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამის პირველი სახეობა — შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. პირველმა ტურნირმა პირველი სიხარული მოგვიტანა: დამაჯერებელი გუნდური გამარჯვება, ექვსი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. უკეთეს შედეგს ალბათ უკიდურესი ოპტიმისტიც ვერ ინატრებდა. წინ კი მთელი სასპარტაკიადო პროგრამაა და ბევრი საინტერესო ორთაბრძოლა, რომლებშიც ჩვენს ნორჩ სპორტსმენებს ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.

## შეხვედრა გამარჯვებულებთან

**მოსწავლეთა** საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებული გუნდი და მწვრთნელები მიიღო საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრმა გ. ენუქიძემ. მან მიულოცა სპორტსმენებს ბრწყინვალე გამოსვლა ამ პრესტიჟულ ტურნირში და უსურვა წარმატებები სწავლაში. მოჭიდავეებს ამ შეხვედრაზე გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

# უძლიერესი გუნდი

**სპეციალისტების** აზრით, გუნდურ ბრძოლაში ფავორიტები ტურნირის მასპინძლები და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. ეს ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა კიდეც, თუმცა მოსკოველ მოჭიდავეთა მეორე ადგილი, გარკვეულწილად, სიურპრიზს წარმოადგენდა. მით უფრო, რომ ამ ქალაქის ათლეტები სამ წონაში შეუფასებლები დარჩნენ.

გუნდური პირველობის ბედი შეჯიბრების პირველსავე დღეს გადაწყდა, როცა რუსეთის ფედერაციის ნაკრებს წარუმატებელი სტარტის გამო ორი მოჭიდავე გამოაკლდა. ამ გაუთვალისწინებელმა მარცხმა საკმაოდ ძლიერი კოლექტივი მთავარი პრიზისათვის ბრძოლას გამოაკლო.

საქართველოს გუნდი სპარტაკიადისათვის კარგად მომზადებულ და ერთ მუშტად შეკრულ, ბრძოლისუნარიან კოლექტივად წარმოგვიდგა. ეს, პირველ ყოვლისა, მწვრთნელთა კოლექტივის დამსახურებაა, რომელსაც მეთაურობდა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ბენდიაშვილი და მას ეხმარებოდნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ამირან მაისურაძე და ჯონი ლორია, აგრეთვე, ალექსანდრე ბილანიშვილი, ალექსანდრე ავსაჯანიშვილი და გუნდის უფროსი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯემალ ლორია.

ჩვენი მოჭიდავეების წარმატებას ამ ტურნირში ყველაზე ნათლად გამოხატავს ქულების რაოდენობა, უფრო სწორად ის უპირატესობა, რომელიც საგრძნობი იყო მთელი ასპარეზობის მანძილზე და რომელმაც საბოლოოდ სამნიშნა ციფრი შეადგინა. დიახ, განსხვავება პირველსა და მეორე ადგილებზე გასულ კოლექტივებს შორის 114 ქულაა, რაც ამ რანგის ასპარეზობისათვის ერთობ იშვიათია.

გთავაზობთ გუნდური ბრძოლის შედეგებს:

1. **საქართველო — 292 ქულა**
2. **მოსკოვი — 178**
3. **რუსეთის ფედერაცია — 158**
4. **სომხეთი — 148**
5. **ყაზახეთი — 148**
6. **ბელორუსია — 142**
7. **ყირგიზეთი — 140**
8. **უზბეკეთი — 127**
9. **აზერბაიჯანი — 117**
10. **მოლდავეთი — 99**
11. **უკრაინა — 94**
12. **ლენინგრადი — 58**
13. **თურქმენეთი — 56**
14. **ტაჯიკეთი — 56**
15. **ლატვია — 52**
16. **ესტონეთი — 18.**

რამდენიმე სიტყვა სპარტაკიადის გამარჯვებულ გუნდზე. პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ეს იყო რესპუბლიკის საუკეთესო მოჭიდავეთა ჭეშმარიტი ნაკრები. გუნდის ხელმძღვანელობამ საკმაოდ შრომატევადი მუშაობა ჩაატარა, როცა ნაკრების ხუთ ათეულ კანდიდატთაგან უძლიერესნი შეარჩია. საქართველოს სასპარტაკიადო გუნდში მოხვდნენ რესპუბლიკის რვა სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები. ეს კი არა, მცხეთის რაიონის პატარა სოფელ ლისის ორმა წარმომადგენელმა ალექსანდრე კახნიაშვილმა და კახაბერ შოშიტაშვილმა ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

საქართველოს ნაკრები — მოსწავლეთა 1990 წლის სპარტაკიადის ჩემპიონი ამ პრესტიჟულ ასპარეზობაში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: 40 კგ. კახა ზაზიაშვილი (თეთრი წყარო) — XI ადგილი, 51 კგ. მალხაზ მჭედლიძე (სამტრედია) — I ადგილი, 55 კგ. დავით პოლოსიანი (გორი) — I ადგილი, 60 კგ გელა გელაშვილი (ხაშური) — V ადგილი, 65 კგ. გოგიტა ხაბელაშვილი (თბილისი) — I ადგილი, 70 კგ. კახა ვერხვიაშვილი (თბილისი) — VII ადგილი, 76 კგ. ალექსანდრე კახნიაშვილი (მცხეთა) — I ადგილი, 83 კგ. ლუკა კოხია (სოხუმი) — I ადგილი, გიორგი ტორჩინავა (თბილისი) — II ადგილი, 95 კგ. ზურაბ ლოლაშვილი (რუსთავი) — I ადგილი, კახაბერ შოშიტაშვილი (თბილისი) — III ადგილი.

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. თავისუფალი ჭიდაობა. თბილისი. 1990 წლის 25-27 მაისი.**

**40 კგ.** 1. ალექსანდრე გუზოვი (ბელორუსია), 2. ვიტალი რაილიანი (მოლდავეთი), 3. მაის იბადოვი (აზერბაიჯანი).

**43 კგ** 1. ჰასანბეკ ასხაბოვი (მოსკოვი), 2. სახიბ მუსაევი (აზერბაიჯანი), 3. კაირატ ნურგოჟაევი (ყაზახეთი).

**47 კგ** 1. ნურდინ დინბაევი (ყირგიზეთი), 2. აიბეკ აბდულინი (ყაზახეთი), 3. მაკსატ ბოგურბეკოვი (ყირგიზეთი).

**51 კგ** 1. მალხაზ მჭედლიძე (საქართველო), 2. ზიაფეტ ბურზიევი (აზერბაიჯანი), 3. რასულ კარაევი (უზბეკეთი).

**55 კგ** 1. დავით პოლოსიანი (საქართველო, 2. არამ მარქარიანი (სომხეთი), 3. აჰმედ მაჰომედოვი (რუსეთის ფედერაცია).

**60 კგ** 1. იგორ კუდეევი (რუსეთის ფედერაცია). 2. სერგეი რიბაკოვი, 3. სულთან რაშიდოვი (ორივე — მოსკოვი).

**65 კგ** 1. გოგიტა ხაბელაშვილი (საქართველო), 2. მუსა ზაინუტდინოვი (რუსეთის ფედერაცია), 3. ვადიმ გუზიცკი (მოლდავეთი).

**70 კგ** 1. ტემირლან ბამატკაზიევი (მოსკოვი), 2. იგორ ბაგაევი (რუსეთის ფედერაცია), 3. გევორგ ოჰანესიანი (სომხეთი).

**76 კგ** 1. ალექსანდრე კახნიაშვილი (საქართველო), 2. ვიტალი რუდენკო, 3. ელდარ ასანოვი (ორივე — უკრაინა).

**83 კგ** 1. ლუკა კოხია, 2. გიორგი ტორჩინავა (ორივე — საქართველო), 3. სერგეი სლავკო (უზბეკეთი).

**95 კგ** 1. ზურაბ ლოლაშვილი (საქართველო), 2. ოლეგ პრონინი (უზბეკეთი), 3. კახაბერ შოშიტაშვილი (საქართველო).

სპარტაკიადაში გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭიდავეებს, ტრადიციისამებრ, გადაეცათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. აი როგორ განაწილდა ჯილდოები დელეგაციებს შორის:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| საქართველო | 6 | 1 | 1 |
| მოსკოვი | 2 | 1 | 1 |
| რუსეთის ფედერაცია | 1 | 2 | 1 |
| ყირგიზეთი | 1 | — | 1 |
| ბელორუსია | 1 | — | — |
| აზერბაიჯანი | — | 2 | 1 |
| უზბეკეთი | — | 1 | 2 |
| სომხეთი | — | 1 | 1 |
| უკრაინა | — | 1 | 1 |
| მოლდავეთი | — | 1 | 1 |
| ყაზახეთი | — | 1 | 1 |

პრიზიორები


გიორგი ტორჩინავა


კახაბერ შოშიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სურვილი გამოთქვეს



**ლიტვის** ნაკრებმა, რომელიც ჩტუმრად იმყოფება საქართველოში, მეორე საკონტროლო მატჩი ლანჩხუთში გამართა „გურიასთან". შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 3:0. ლანჩხუთელთაგან ბურთები გაიტანეს ფრიდრიკასმა, ფრიდონაშვილმა და კორღალიძემ.

ლანჩხუთის „გურიაში" კადმოსვლის სურვილი გამოთქვეს ვილნიუსის „ჟალგირისის" ფეხბურთელებმა — თავდამსხმელმა რ. ფრიდრიკასმა (დაბ. 1962 წ.) და მცველმა რ. მაჟეიკასმა (დაბ. 1964 წ.). მათ ეს მატჩი „გურიის" შემადგენლობაში ჩაატარეს. თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ამ ფეხბურთელებთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, უახლოეს მომავალში შევიტყობთ. ამ დღეს „გურიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ქანთარია, გუჯაბიძე (კაბისაშვილი), ჩხაიძე, დანელია, მაჟეიკასი, ცომაია, ბაკურაძე, ტყებუჩავა, ფრიდრიკასი, ფრიდონაშვილი (ფრუიძე), ხურცილავა (კორღალიძე).

# ოსტატები დამარცხდნენ

(დასასრული)

უცშივე დათმეს პაიკი და ინიციატივას დაეუფლნენ. შემდეგ დგებუაძე იძულებული გახდა უკანვე დაებრუნებინა პაიკი. პარტიის ბედი ორმხრივმა ცაიტნოტმა გადაწყვიტა: შალამბერიძემ უხეში შეცდომა დაუშვა და მატი მიიღო.

ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ტაბატაძე-სიჭინავა 0:1, მანაგაძე-ხაბურზანია 1:0, სუპატაშვილი-პოპოვი 0:1, ჭურღულია-კეკელიძე 0,5:0,5.

გადატანილია კაკაბაძე-კუჭუხიძისა და იაშვილ-ხოფერიას პარტიები.

აქვე შეგახსენებთ, რომ I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები საბჭოთა კავშირის 57-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლებას მიიღებენ.

მეორე ტურში უაღრესად საინტერესო გამოდგა ოსტატობის კანდიდატების, თბილისის 147-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელის კახა ხაბურზანიას და თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელის მიხეილ კეკელიძის შეხვედრა.

უფიმცევის დაცვაში კეკელიძემ დებიუტშივე არაზუსტად ითამაშა და ფიგურა დაკარგა. მიუხედავად ამისა, მან შეძლო აქტიურად განელაგებინა თავისი ფიგურები და გარკვეული კომპენსაცია მიიღო. მალე დაფიდან ლაზიერებიც „გაქრნენ" და ენდშპილში კეკელიძემ ცენტრში გამსვლელი პაიკების წინსვლით გადამწყვეტი იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მეფის „ბანაკში" და გაიმარჯვა.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: პოპოვი — ბალათუროვი 0:1, სიჭინავა — კაკაბაძე 1:0, მანაგაძე — შალამბერიძე 1:0, კუჭუხიძე — სუპატაშვილი 0:1, გოგიჩაიშვილი — ჭურღულია 0,5:0,5, დგებუაძე — იაშვილი 0,5:0,5. გადაიდო ხოფერია—ტაბატაძის პარტია.

2 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით შეჯიბრების სათავეში ჩაუდგნენ ოსტატობის კანდიდატები რომან სიჭინავა (სენაკი) და ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი). მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან მიხეილ კეკელიძე, ალექსანდრე დგებუაძე და გივი გოგიჩაიშვილი (ყველა — თბილისი).

**ვასილ ვაშაკიძე.**





# კანადელები თბილისში

**ეს სათაური მიკარნახა ერთმა ჩვენმა ცნობილმა სპეციალისტმა და „ლელოს" დიდმა გულშემატკივარმა. მისი აზრით, გონივრულია, რომ მკითხველმა თავიდანვე იცოდეს, რაზე იქნება ლაპარაკი წერილში. „კანადელები თბილისში?" ყველაფერი გასაგებია, ისინი ჩვენთან სასწავლებლად ჩამოვიდნენ.**

**რობერტ** მურმა, მონრეალის საჭიდაო კლუბის მწვრთნელმა, დაადასტურა ომზარ შოშიტაშვილის ნათქვამი. სინამდვილეშიც, სტუმართა საუკეთესო სპორტსმენები ჩვენს ფალავნებთან შედარებით ახალბედებად გამოიყურებიან, ხალიჩაზე მერკინეებში კი ანბანის სწავლას წააგავს: ქართველი მოჭიდავე რამდენჯერმე უჩვენებს სპარინგ-პარტნიორს, თუ როგორ უნდა ჩაატარო ილეთი, თვითონ ამას აუჩქარებლად, უმტკივნეულოდ აკეთებს, შემდეგ, უფრო სწრაფად, ბოლოს კი კანადელს სთავაზობს როლები გაცვალონ, და ასე გრძელდება მანამდე, ვიდრე სტუმარი არ იტყვის: „კარქია" — სიტყვას, რომელიც კანადელებს ძალიან მოსწონთ.

ამჯერად, თბილისშია 19 მოჭიდავე, რომლებიც 16-28 წლისანი არიან. მათი ვიზიტი საპასუხოა — გასულ წელს ჩვენი სპორტსმენები იყვნენ კანადაში. როგორც ჩანს, ეს ურთიერთობები რეგულარულ ხასიათს ღებულობს — თბილისში ათდღიანი შეკრების შემდეგ ქართველებიც თავად დაიწყებენ ჩემოდნების ჩალაგებას. საინტერესოა, რომ ახლა მონრეალის კლუბს ხელმძღვანელობს ვიქტორ ზილბერმანი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ახლა კი, კანადის ქვეშევრდომი. მხოლოდ ვიქტორმა გადაწყვიტა, კავშირი დაემყარებინა არა მინსკთან, ყოფილ მშობლიურ ქალაქთან, არამედ თბილისთან. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ საქმე მხოლოდ ქართული საჭიდაო სკოლის უპირატესობაში კი არ არის, არამედ, ჩვენს ცნობილ სტუმართმოყვარეობაში. კანადელთა მწვრთნელმა, რობერტ მურმა, ჯორჯ ფაიკმა და ჯორჯ აპოსტულუმ მთხოვეს, ჩვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაგვეხადა გულთბილი მიღებისათვის. სტუმართა ყოველი სურვილი უყოყმანოდ სრულდება. მაგალითად, სტუმრები გაეცნენ საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეს, კახეთს, ყვარელში შედგება ამხანაგური შეხვედრები.

თუმცა აუცილებელი არ არის სტუმართა სურვილი ჭიდაობის სფეროდან იყოს. კანადელი მოჭიდავის იოსიფ მენდელსონის კონსერვატორიის სტუდენტის თხოვნით, ქართველმა დირიჟორმა რევაზ ტაკიძემ მას კონსულტაცია მოუწყო ჩვენს კლარნეტზე დაკვრის ოსტატებთან. ერთი სიტყვით, კანადელები თბილისში თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში.

**პაპი გოგორიშვილი.**

• • •

**სურათებზე: კანადელი ფალავნები საქართველოში. მარცხენა ფოტოზე ჩვენი რესპუბლიკის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების გუნდის მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ მესტვირიშვილი ავარჯიშებს კანადელ სტუმრებს.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# პრემიები წარმატებისთვის





**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობა, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა. ცნობილია, თუ ვინ რომელი ნომრით ითამაშებს იტალიის სტადიონებზე. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ყველა ქვეყნის ეროვნულ ფედერაციებს ნება დართო ტრავმის ან ავადმყოფობის შემთხვევაში სპეციალური საექიმო დოკუმენტით ახალი ფეხბურთელი შეიყვანოს განაცხადში, მაგრამ ეს შესაძლოა მხოლოდ ჩემპიონატის პირველ მატჩამდე.

სსრ კავშირის საფეხბურთო დელეგაციაში 40 კაცია, მათ შორის ტექნიკური და მომსახურე პერსონალიც. 4 ივნისს დელეგაცია გაემგზავრება იტალიის ქალაქ პიზაში.

უშუალოდ ჩემპიონატზე თითოეულ ეროვნულ გუნდს მოემსახურება ფირმა „ფიატის" სპეციალურად გამოყოფილი ლუქს-ავტობუსი, აგრეთვე, ერთი მიკროავტობუსი და ორი მსუბუქი მანქანა. საბჭოთა გუნდი მოთავსდება სასწავლო-გამაჯანსაღებელ ცენტრ ჩოკოში. მანამდე კი აკრედიტაციას გაივლის ფლორენციაში. თითოეული მოთამაშე მიიღებს საგანგებო ბარათს საკუთარი ფერადი ფოტოსურათით.

დაბა ჩოკო პიზის მახლობლად მდებარეობს, ზღვის დონიდან 550 მეტრის სიმაღლეზე, ზაფხულში აქ შედარებით სიგრილეა. გუნდი აქედან გაემგზავრება თამაშებზე და მაშინვე დაბრუნდება უკან.

ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მოგების შემთხვევაში თითოეული საბჭოთა ფეხბურთელი მიიღებს 12 ათას მანეთს. აქედან 15 პროცენტი ვალუტაა. გარდა ამისა, ფეხბურთელები მიიღებენ თავთ კიანი წილს იმ 200 ათასი შვეიცარიული ფრანკიდან, რომელიც მთლიანად გუნდისთვისაა გაკუთვნილი. დაწესებულია სხვა სავალუტო წახალისებებიც, ცალ-ცალკე — მერვედფინალში, მეოთხედფინალში და ფინალში გასვლისთვის. ასე რომ, თუ სსრ კავშირის გუნდმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, თითოეული ფეხბურთელი მიიღებს 27 ათას დოლარს. გუნდის საერთო ხარჯები შეადგენს დაახლოებით 800 ათას დოლარს, პირველი ადგილის მოგებისთვის კი იგი 3 მილიონ დოლარს მიიღებს.

საბჭოთა გუნდის რეალური ამოცანაა ნახევარფინალში მოხვედრა, ე. ი. ადგილის დაკავება პირველ ოთხეულში.

**დასავლეთ** უახლოვდება მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალისტთა საწვრთნელი შეხვედრები.

**შვეციის** ფეხბურთელებმა სტოკჰოლმში მიიღეს ფინეთის ნაკრები და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 6:0.

აღსანიშნავია, რომ შვეციის ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ 4 ამხანაგური შეხვედრა გამართეს, რომელთაგან არც ერთი არ წაუგიათ.

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა დიუსელდორფში მიიღო ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. მასპინძელთა მწვრთნელმა ფ. ბეკენბაუერმა საგრძნობლად გადაახალისა თავისი გუნდის დაცვის რიგები, კერძოდ, კვლავ მიიხმო ცენტრალური მცველი ქ. აუგენტალერი.

გფრ-ის გუნდი ამჯერად ფრიად სოლიდურად გამოიყურებოდა და გამარჯვებაც მას დარჩა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა ნახევარმცველმა უვე ბაინმა.

**ბრიუსელში** ფრედ ითამაშეს ბელგიისა და რუმინეთის გუნდებმა — 2:2, თუმცა, პირველ ტაიმში ბელგიელები წინ იყვნენ — 2:0. მწვრთნელმა გი ტისმა ბელგიელთა ნაკრების შემადგენლობაში დააბრუნა ენცო შიფო, მან შესანიშნავად ითამაშა და 11-მეტრიანით პირველი ბურთიც გაიტანა. რომელიც მის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დაინიშნა, მეორე ბურთი სტუმრების კარში ლეო კლისტერსმა შეაგდო. შესვენების შემდეგ რუმინელთა შემადგენლობაში შესაბამისი გადაადგილებები მოხდა, გუნდმა თამაში გააძლიერა, მირჩო რედნიკმა და მარიუს ლეკატუშმა ორივე გოლი გაიტანეს.

**კაიროში** ითამაშეს ეგვიპტისა და კოლუმბიის გუნდებმა. პირველი ტაიმის დასასრულს დაწინაურდნენ ეგვიპტელები (იბრაჰიმ ჰასანი), საპასუხო ბურთი თამაშის დასასრულს გაიტანა ფრედი რინკონმა—1:1.

**მსოფლიო** ჩემპიონატისწინა ამხანაგურ შეხვედრებში პირველი მარცხი განიცადეს იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ლიუბლიანაში წააგეს ესპანეთის გუნდთან — 0:1. იუგოსლაველებს ბურთის გატანის მრავალი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ერთადერთი ბურთი კი ესპანელთა ფორვარდმა ემილიო ბუტრაგენიომ გაიტანა.

**დაბოლოს,** იზმირის „ათათურქის" სტადიონზე თურქებმა ირლანდიის გუნდი მიიღეს და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 0:0. მასპინძელთა ნაკრებს ოფიციალურ მატჩებში პირველად ხელმძღვანელობდა ახალი მწვრთნელი, ცნობილი დასავლეთგერმანელი სპეციალისტი ზეპ პიონტეკი. თამაში, რომელსაც საბჭოთა მსაჯთა ბრიგადა მოემსახურა, მიმდინარეობდა 36-გრადუსიან სიცხეში.

**8 ივნისს** იტალიის პრემიერ-მინისტრი არგენტინის პრეზიდენტ კარლოს მენემთან ერთად მილანის „სან-სიროს" სტადიონზე დაესწრება მსოფლიო ჩემპიონატის სასტარტო მატჩს არგენტინისა და კამერუნის გუნდებს შორის.

**იტალიის** შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ფე-



ხბურთის საერთაშორისო ფედერაციისა და 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ პოლიცია ენერგიულ ზომებს მიმართავს გულშემატკივართა ყოველგვარი ხულიგნური საქციელის აღსაკვეთად. მან აღნიშნა, რომ წესრიგის დამცველებს კატეგორიული ინსტრუქცია აქვთ, საგულდაგულოდ გაჩხრიკონ მაყურებლები სტადიონზე შესვლის წინ.

ყველა სტადიონზე, სადაც ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება, აიკრძალა ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა, ხოლო უალკოჰოლო სასმელები გაიყიდება მხოლოდ პლასტმასის ბოთლებში, რომლებიც გამოუსადეგარია მინდორზე სასროლად.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

---

**თბილისის ეროვნული სტადიონი**

**(ა. წერეთლის გამზირი №2)**



**1 ივნისი ● ფეხბურთი**

ამხანაგური შეხვედრა

**„იბერია"** (თბილისი) — **„ჟალგირისი"** (ვილნიუსი)

დასაწყისი: 19 ს. 30 წ.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 30, 31 მაისს და 1 ივნისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე), ორგანიზაციებში — 31 მაისს.

აღნიშნულ შეხვედრაზე აბონემენტები ძალაში არ არის.



**თბილისის ეროვნული სტადიონი**

**5 ივნისი**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

**„იბერია"** (თბილისი) — **„გურია"** (ლანჩხუთი)

დასაწყისი: 19 ს. 30 წ.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 3, 4 და 5 ივნისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე), ორგანიზაციებში — 4 ივნისს.

[illegible] ... ზიპი 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ... ქ. 30. XI უე 00351